სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის

წარმომადგენლობითი საბჭოს დისტანციური სხდომის ოქმი #5

ქ. თბილისი **2021 წლის 08 ნოემბერი**

ქვეყანაში და მსოფლიოში მიმდინარე კორონავირუსთან (COVID-19) დაკავშირებული პანდემიის გამო წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომის ფორმატთან დაკავშირებით მიღებული იქნა გადაწყვეტილება, წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომის დისტანციურად, ელექტრონული საშუალებების გამოყენებით ჩატარების თაობაზე.

შესაბამისად, თსუ სენატის სამდივნოს მიერ წარმომადგენლობითი საბჭოს წევრებს ელ. მისამართებზე დაეგზავნათ წარმომადგენლობითი საბჭოს დისტანციური სხდომის დღის წესრიგი, შესაბამისი მასალებით და ეთხოვათ, ელექტრონული ფოსტის მეშვეობით, დისტანციურად დააფიქსირებინათ პოზიცია, უჭერდნენ თუ არა მხარს წარმოდგენილ საკითხებს.

დისტანციური სხდომის დღის წესრიგი:

1.სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს წევრებისათვის უფლებამოსილების შეწყვეტა (მომხსენებელი: გიორგი ჩაკვეტაძე)

2. სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ სტუდენტთა საერთო საცხოვრებლის მშენებლობასთან დაკავშირებით, შესაბამისი უძრავი ქონების ან მისი ნაწილის განკარგვის (იჯარით/აღნაგობით გაცემა) საკითხი (მომხსენებლები: ლაშა საღინაძე, არჩილ კუკულავა)

3. ქ. თბილისში, უნივერსიტეტის ქუჩაზე მდებარე თსუ ბიბლიოთეკის კორპუსის მიმდებარედ (საკადასტრო კოდი 01.14.06.006.116) არსებული ფართის იჯარის ფორმით გაცემის საკითხი, კვების ობიექტის მოწყობის მიზნით (მომხსენებლები: ლაშა საღინაძე, არჩილ კუკულავა)

4. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საკუთრებაში არსებული, ქალაქ თბილისში, უნივერსიტეტის ქუჩაზე მდებარე 90767 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი №01.14.06.006.116) და მისი მოსაზღვრე მიწის ნაკვეთის საზღვრების კორექტირების საკითხი (მომხსენებელი: ლაშა საღინაძე, არჩილ კუკულავა)

5. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დებულებაში ცვლილების დამტკიცება (მომხსენებელი: ნანა გაფრინდაშვილი)

6. ბოლნისის მუნიციპალიტეტში, სოფელ დაბა კაზრეთში მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 4887 კვ.მ. მიწის ნაკვეთისა (დაურეგისტრირებელი) და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობების იჯარით გაცემის საკითხი (მომხსენებლები: ლაშა საღინაძე, არჩილ კუკულავა)

თსუ სენატის სამდივნოში, ელ. ფოსტის მეშვეობით, თავიანთი პოზიცია დააფიქსირეს წარმომადგენლობითი საბჭოს შემდეგმა **43** წევრმა:

1.გიორგი გოგსაძე 2. ლევან საბაური 3. თემურ ცქიტიშვილი 4. ლალი ახალბედაშვილი 5. სოფიო ხუციშვილი 6. ბეჟან თუთბერიძე 7. მარინა გურგენიშვილი 8. მანანა ნიკოლაიშვილი 9. ნოდარ ლომიძე 10. ლია მაჭავარიანი 11. მარინე ხუციშვილი 12. ირინე ჟვანია 13. მიხეილ რუხაია 14. ეკა ვარდოშვილი 15. თამილა ჩალაძე 16. ნინო ჩახუნაშვილი 17. ნათელა არჩვაძე 18. გვანცა გვანცელაძე 19. ადა ნემსაძე 20. თამარ ბერაძე 21. მარინა გარიშვილი 22. ვლადიმერ მარგველაშვილი 23. გიორგი თუმანიშვილი 24. კობა ყალიჩავა 25. ლუკა ონიანი 26. ნინო ჭალაგანიძე 27. ელენე ბებერაშვილი 28. მარიამ თვალაძე 29. აპოლონ თაბუაშვილი 30. დაჩი ჩიტაია 31. თამარ პაიჭაძე 32. მანანა რუსეიშვილი 33. ნინო აბესაძე 34. თინა ქიტუაშვილი 35. ზურაბ გაიპარაშვილი 36. ანასტასია ზაქარიაძე 37. მათე შვანგირაძე 38. ელისაბედ ბჟალავა 39. ნაზირა კაკულია 40. დინა ხუციშვილი 41. ილია თავხელიძე 42. ეთერ კაკულია 43. კახაბერ ლორია (დანართი 1)

იმის გათვალისწინებით, რომ მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, დღის წესრიგის მე-5 საკითხის (სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დებულებაში ცვლილების დამტკიცება) განხილვაში მონაწილეობს ასევე აკადემიური საბჭო, მასალები რექტორის აპარატისა და აკადემიური საბჭოს სამდივნოს მიერ გადაგზავნილი იქნა თსუ აკადემიური საბჭოს წევრებთან გასაცნობად (დანართი 2).

დისტანციური სხდომის დღის წერიგის 1-ელ საკითხთან დაკავშირებით (სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს წევრებისათვის უფლებამოსილების შეწყვეტა) წარმომადგენლობითი საბჭოს წევრებს ეცნობათ, რომ საკითხი ეხება ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის წარმომადგენლის - ბატონი ომარ მუკბანიანისათვის წარმომადგენლობითი საბჭოს წევრის სტატუსის შეწყვეტას (აკადემიურ საბჭოში არჩევასთან დაკავშირებით), ასევე კანონმდებლობიდან გამომდინარე, წევრობის სტატუსი უწყდებათ იურიდიული ფაკულტეტის წარმომადგენლებს: არჩილ ჯავახიშვილსა და სანდრო მარანელს, ზუსტ და საბუნებისმეტყველო ფაკულტეტის წარმომადგენელს ლაშა მუმლაძეს, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის წარმომადგენელს ბექა დვალიშვილს, მედიცინის ფაკულტეტის წარმომადგენლებს: ლერი უმფრიანსა და ანა ჩართოლანს და ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის წარმომადგენელს - ქეთევან ცანავას. (ზემოთჩამოთვლილ პირებს თსუ-ში არა აქვთ სტუდენტის სტატუსი). არცერთ შემთხვევაში აღნიშნულ პირებს უფლებამონაცვლეები არ ჰყავთ.

წარმომადგენლობითი საბჭოს წევრების მიერ უარყოფითი პოზიცია დაფიქსირდა დისტანციური სხდომის დღის წესრიგის მე-6 საკითხთან (ბოლნისის მუნიციპალიტეტში, სოფელ დაბა კაზრეთში მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 4887 კვ.მ. მიწის ნაკვეთისა

(დაურეგისტრირებელი) და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობების იჯარით გაცემის საკითხი) დაკავშირებით და მათ გაიზიარეს თსუ ალექსანდრე ჯანელიძის გეოლოგიის ინსტიტუტის დირექტორის, ქალბატონ თამარ წუწუნავას წერილობითი პოზიცია, სადაც აღნიშნულია, რომ ინსტიტუტის დირექცია და სამეცნიერო საბჭო ნებისმიერი პირობითა და დანიშნულებით ბაზის ფართობისა და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობების იჯარით გაცემის კატეგორიულად წინააღმდეგია. წარმომადგენლობითი საბჭოს წევრების მხრიდან დაისვა შეკითხვები აღნიშნული საკითხის ირგვლივ, რაზედაც საბჭოს წევრებს მიეწოდათ წერილობითი განმარტებები საკითხის მომხსენებლების მხრიდან.

დღის წესრიგის მე-4 საკითხთან (სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საკუთრებაში არსებული, ქალაქ თბილისში, უნივერსიტეტის ქუჩაზე მდებარე 90767 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი №01.14.06.006.116) და მისი მოსაზღვრე მიწის ნაკვეთის საზღვრების კორექტირების საკითხი) სენატის წევრ, ბატონ ზურაბ გაიპარაშვილის მიერ დასმულ შეკითხვაზე, საკითხის მომხსენებელმა, იურიდიული დეპარტამენტის ხელმძღვანელმა არჩილ კუკულავამ განმარტა, რომ თსუ-სა და მუნიციპალიტეტის უძრავი ქონება (მიწა) მდებარეობს მომიჯნავედ და ხდება საზღვრების კორექტირება (წითელი ხაზების კორექტირება) უნივერისტეტის მიწის ფართობის შუცვლელად. წარმომადგენლობითი საბჭოს წევრმა, ბატონმა ილია თავხელიძემ უარყოფითი პოზიცია დააფიქსირა „უნივერსიტეტის ტერისტორიების“ საკითხებზე.

შესაბამისად, მიღებულად ჩაითვალა შემდეგი გადაწყვეტილებები:

1. შეუწყდეთ სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს წევრის სტატუსი:

1.1. ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის წარმომადგენელს - ომარ მუკბანიანს;
1.2. იურიდიული ფაკულტეტის წარმომადგენლებს: არჩილ ჯავახიშვილსა და სანდრო მარანელს;
1.3. ზუსტ და საბუნებისმეტყველო ფაკულტეტის წარმომადგენელს ლაშა მუმლაძეს;
1.4. ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის წარმომადგენელს ბექა დვალიშვილს
1.5. მედიცინის ფაკულტეტის წარმომადგენლებს: ლერი უმფრიანსა და ანა ჩართოლანს;
1.6. ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის წარმომადგენელს - ქეთევან ცანავას. (დანართი 3)

მომხრე: 43

წინააღმდეგი: 0

2. გაიცეს თანხმობა სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ სტუდენტთა საერთო საცხოვრებლის მშენებლობასთან დაკავშირებით, შესაბამისი უძრავი ქონების ან მისი ნაწილის განკარგვაზე(იჯარით/აღნაგობით გაცემა) წარმოდგენილი პირობებით; (დანართი 4)

მომხრე: 42

წინააღმდეგი: 1

3. გაიცეს თანხმობა ქ. თბილისში, უნივერსიტეტის ქუჩაზე მდებარე თსუ ბიბლიოთეკის კორპუსის მიმდებარედ (საკადასტრო კოდი 01.14.06.006.116) არსებული ფართის იჯარის ფორმით გაცემაზე, კვების ობიექტის მოწყობის მიზნით, წარმოდგენილი პირობებით.(დანართი 5)

მომხრე: 42

წინააღმდეგი: 1

4. გაიცეს თანხმობა სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საკუთრებაში არსებული, ქალაქ თბილისში, უნივერსიტეტის ქუჩაზე მდებარე 90767 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი №01.14.06.006.116) და მისი მოსაზღვრე მიწის ნაკვეთის საზღვრების კორექტირებაზე წარმოდგენილი პირობებით. (დანართი 6)

მომხრე: 42

წინააღმდეგი: 1

5. დამტკიცდეს სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დებულებაში ცვლილება წარმოდგენილი სახით. (დანართი 7)

მომხრე: 43

წინააღმდეგი: 0

6. არ გაიცეს თანხმობა ბოლნისის მუნიციპალიტეტში, სოფელ დაბა კაზრეთში მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 4887 კვ.მ. მიწის ნაკვეთისა (დაურეგისტრირებელი) და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობების იჯარით გაცემაზე (დანართი 8)

მომხრე: 0

წინააღმდეგი: 43

წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერი - ვლადიმერ მარგველაშვილი

წარმომადგენლობითი საბჭოს მდივანი - გიორგი ჩაკვეტაძე

2021 წლის 08 ნოემბრის დისტანციური სხდომის ფორმატში (სხდომა #5, ელ.ფოსტის გამოყენებით) მონაწილე წარმომადგენლობითი საბჭოს წევრები:

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი

პროფესორები:

აბესაძე ნინო -

საბაური ლევანი -

კაკულია ნაზირა -

სტუდენტები:

ბერაძე თამარი -

შვანგირაძე მათე -

ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი

პროფესორები:

არჩვაძე ნათელა -

თუთბერიძე ბეჟანი -

მაჭავარიანი ლია -

თავხელიძე ილია -

სტუდენტები:

ონიანი ლუკა -

იურიდიული ფაკულტეტი

პროფესორები:

ყალიჩავა კობა -

გარიშვილი მარინე -

თუმანიშვილი გიორგი -

მედიცინის ფაკულტეტი

პროფესორები:

მარგველაშვილი ვლადიმერი -

ქიტუაშვილი თინა -

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

პროფესორები:

გოგსაძე გიორგი -

ჭალაგანიძე ნინო -

სტუდენტები:

ბებერაშვილი ელენე -

ჩიტაია დაჩი -

ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტი

პროფესორები:

ჟვანია ირინე -

ჩახუნაშვილი ნინო -

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

პროფესორები:

ბჟალავა ელისაბედი -

რუსეიშვილი მანანა -

პაიჭაძე თამარი -

ვარდოშვილი ეკა -

თაბუაშვილი აპოლონი -

ზაქარიაძე ანასტასია -

ლორია კახაბერი -

სტუდენტები:

თვალაძე მარიამი -

თსუ-ს ბიბლიოთეკის ხელმძღვანელი

გაიპარაშვილი ზურაბი -

თინათინ წერეთლის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტი

ცქიტიშვილი თემური -

ალექსანდრე თვალჭრელიძის მინერალური ნედლეულის კავკასიის ინსტიტუტი

ახალბედაშვილი ლალი -

რაფიელ აგლაძის არაორგანული ქიმიისა და ელექტროქიმიის ინსტიტუტი

ხუციშვილი მარინე -

შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი

ნემსაძე ადა -

ი. ვეკუას სახელობის გამოყენებითი მათემატიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი

რუხაია მიხეილი -

ალექსანდრე ჯანელიძის სახელობის გეოლოგიის ინსტიტუტი

ხუციშვილი სოფიო -

მაღალი ენერგიების ფიზიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი

ლომიძე ნოდარი -

პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტი

კაკულია ეთერი -

ალექსანდრე ნათიშვილის მორფოლოგიის ინსტიტუტი

სუმბაძე ციური -

არნოლდ ჩიქობავას ენათმეცნიერების ინსტიტუტი

გვანცელაძე გვანცა -

მ. ნოდიას სახ. გეოფიზიკის ინსტიტუტი

ნიკოლაიშვილი მანანა -

პეტრე მელიქიშვილის ფიზ. და ორგ. ქიმიის ინსტიტუტი

გურგენიშვილი მარინა -

თსუ ვახუშტი ბაგრატიონის სახ. გეოგრაფ. ინსტიტუტი

ჩალაძე თამილა -

სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს იმ წევრთა სია, რომელთაც დისტანციურად (ელ. საშუალების გამოყენებით) დაადასტურეს კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად გათვალისწინებული საკითხის გაცნობის ფაქტი

წარმომადგენლობითი საბჭოს დისტანციური სხდომის ოქმი (08.11.2021 წ. #5)

1. აბაშიძე ზურაბ
2. ავაზაშვილი ნიკოლოზ
3. ამირანაშვილი ავთანდილ
4. ანანიაშვილი ნათელა
5. გაგნიძე ნონა
6. ზაუტაშვილი მარინე
7. კოპალეიშვილი მაია
8. კუხიანიძე ალექსანდრე
9. ლობჟანიძე გია
10. ლომიძე გაგა
11. მინდაძე ნინო
12. მუკბანიანი ომარ
13. სანაძე რუსუდან
14. სილაგაძე ავთანდილ
15. ფერაძე გოჩა
16. ქურდაძე რამაზ
17. შავლაყაძე ნუგზარ
18. შალიკაშვილი მორის
19. შანიძე რევაზ
20. შენგელია თემურ
21. ჩიტაშილი მარინე
22. ცისკარიძე ალექსანდრე
23. წერეთელი მარი
24. წერეთელი მზია
25. ხარაიშვილი ეთერ
26. ხაჩიძე მანანა
27. ხუსკივაძე მამუკა
28. ხუციშვილი ქეთევან

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს თავმჯდომარეს
პროფესორ ვლადიმერ მარგველაშვილს

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს წევრის
პროფესორ ომარ მუკბანიანის

განცხადება

გთხოვთ შემიწყვიტოთ წარმომადგენლობითი საბჭოს წევრის უფლებამოსილება, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოში არჩევასთან დაკავშირებით.

პატივისცემით

19.10.2021
მობ.: 577249989

წარმომადგენლობითი საბჭოს დისტანციური სხდომის ოქმი №5, დანართი 4

N 19101/10 23/09/2021

სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი
საბჭოს სპიკერს ბატონ ვლადიმერ მარგველაშვილს

ბატონო ვლადიმერ,

სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების 47-ე მუხლის მე-5 პუნქტის საფუძველზე, გთხოვთ განიხილოთ უნივერსიტეტის მიერ სტუდენტთა საერთო საცხოვრებლის მშენებლობასთან დაკავშირებით, შესაბამისი უძრავი ქონების ან მისი ნაწილის განკარგვის (იჯარით/აღნაგობით გაცემა) საკითხი, დანართში ასახული პირობებით.

დანართი: 6 ელ. ფაილი.

პატივისცემით,

ლაშა საღინაძე

ადმინისტრაციის ხელმძღვანელი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

დანართი N1

„სტუდენტური საერთო საცხოვრებლების მშენებლობისთვის ტექნიკური დავალებისა და მშენებლობის განმახორციელებელ პირთა შერჩევის კრიტერიუმების შემუშავების მიზნით დროებითი უწყებათაშორისი კომისიის შექმნის შესახებ" 2019 წლის 23 აგვისტოს N1091 ბრძანებით შექმნილი კომისიის გადაწყვეტილებითა და მისი შინაარსის გათვალისწინებით უნივერხიტეტის მიერ დადგენილი იქნა შემდეგი პირობები:

1. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ სტუდენტთა საერთო საცხოვრებლის მშენებლობასთან დაკავშირებით შესაბამისი უძრავი ქონების ან მისი ნაწილის განკარგვა (იჯარით გაცემა) განხორციელდეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

2. მხედველობაში იქნეს მიღებული კომისიის სხდომაზე სტუდენტთა საერთო საცხოვრებლის მშენებლობის ტექნიკური პირობებისა და სათანადო ინვესტორის შერჩევის კრიტერიუმების განახლებულ პროექტთან დაკავშირებით კომისიის სხდომაზე წარმოდგენილი და გამოთქმული მოსაზრებები, რომელთა მიხედვით:

2.1 სტუდენტთა საერთო საცხოვრებლის მშენებლობის ტექნიკური პირობები მოქმედი კანონმდებლობით სამშენებლო საქმიანობასთან დაკავშირებული სტანდარტებით, ტექნიკური რეგლამენტაციითა და უსაფრთხოების ტექნიკური რეგლამენტაციით დადგენილ მოთხოვნათა დაცვით განისაზღვროს შემდეგი პირობებით:

ა) სტუდენტურ საერთო საცხოვრებლად განსაზღვრული ინფრასტრუქტურა გათვლილი უნდა იყოს არანაკლებ 3000 სტუდენტზე (პირველ ეტაპზე უნდა მოეწყოს არანკლებ 2000 სტუდენტზე გათვლილი ინფრასტრუქტურა, ხოლო მეორე ეტაპზე 1000 სტუდენტზე გათვლილი ინფრასტრუქტურა). სტუდენტურ საერთო საცხოვრებელში საქართველოს მოქალაქე სტუდენტის განთავსების საფასური (გარდა ინდივიდუალური საცხოვრისისა) არ უნდა აღემატებოდეს 120 აშშ დოლარს (კომუნალური გადასახადების ჩათვლით), ხოლო ინდივიდუალური ტიპის ოთახში საფასური არ უნდა აღემატებოდეს 250 აშშ დოლარს (კომუნალური გადასახადების ჩათვლით). უნივერსიტეტსა და ინვესტორ კომპანიას შორის ურთიერთშეთანხმებით განისაზღვროს კვოტა, რომლის ფარგლებში სტუდენტური საერთო საცხოვრებლისათვის განკუთვნილ ობიექტზე სოციალურად მოწყვლადი ჯგუფები ისარგებლებენ შეღავათებით საცხოვრებლით სარგებლობასთან დაკავშირებით დადგენილი საფასურის გადახდისას.

ბ) საცხოვრებელი ოთახები აღჭურვილი უნდა იყოს ყველა შესაბამისი ინვენტარით (საწოლი, მაგიდა, სკამი, კარადა და სხვა) და უნდა იყოს შემდეგი ტიპის:

ბ.ა) ინდივიდუალური (საცხოვრებელი ოთახი და სველი წერტილი) - ოთახის ჯამური ფართი არანაკლებ 17 კვ.მ., მათ შორის სველი წერტილი არანაკლებ 3 კვ.მ.

ბ.ბ) 2 სტუდენტზე გათვლილი (საცხოვრებელი ოთახი და სველი წერტილი) - ოთახის ჯამური ფართი არანაკლებ 22 კვ.მ., მათ შორის სველი წერტილი არანაკლებ 3 კვ.მ.

ბ.გ) 3 სტუდენტზე გათვლილი (საცხოვრებელი ოთახი და სველი წერტილი) - ოთახის ჯამური ფართი არანაკლებ 29 კვ.მ., მათ შორის სველი წერტილი არანაკლებ 3 კვ.მ.

ბ.დ) ასევე დამატებით შესაძლებელია, უნივერსიტეტთან შეთანხმებით მოეწყოს სხვა ტიპის ოთახებიც.

გ) ყოველ სართულზე უნდა მოეწყოს სრულად აღჭურვილი, არანაკლებ 1 საერთო სამზარეულო;

დ) საცხოვრებლის ტერიტორიაზე უნდა ფუნქციონირებდეს სასადილო(ები)/კაფეტერია/(ები).

ე) საერთო საცხოვრებლის მთელ ტერიტორიაზე უნდა ვრცელდებოდეს უფასო WIFI ინტერნეტი;

ვ) საცხოვრებლის ტერიტორიაზე უნდა მოეწყოს სოციალური სივრცეები (მაგალითად: საბილიარდო, პინ-პონგის სათამაშო სივრცე, სტუდენტური სივრცეები, მუსიკალური ოთახები და ა.შ.);

ზ) საცხოვრებელს უნდა ემსახურებოდეს დაცვის სამსახური, მიმღები, დასუფთავების სამსახური, სამეურნეო სამსახური და სხვა;

თ) საცხოვრებლის ტერიტორიაზე უნდა განთავსდეს შესაბამისი რაოდენობის ტანსაცმლის სარეცხი მანქანები, რომლებიც იმუშავებენ თვით მომსახურების პრინციპზე;

ი) საცხოვრებლის ტერიტორიაზე უნდა განთავსდეს არანაკლებ 1 დახურული ტიპის სპორტული კომპლექსი (კალათბურთის/ფუტსალის/ფრენბურთის და სხვა სპორტული სახეობების სათამაშოდ), არანაკლებ 1 დახურული ტიპის საცურაო აუზი; არანაკლებ 1 დახურული ტიპის სპორტული/ფიტნეს დარბაზი, შესაბამისი თანამედროვე აღჭურვილობით, არანაკლებ 2 ღია მულტიფუნქციური სპორტული მოედანი (კალათბურთის/ფეხბურთის/ფუტსალის სათამაშოდ), არანაკლებ 1 ღია საჩოგბურთო კორტი. ამ პუნქტით გათვალისწინებული სპორტულ-გამაჯანსაღებელი ობიექტების ფართები განისაზღვროს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი არანაკლებ შესაბამისი მინიმალური სტანდარტების მიხედვით, ხოლო ასეთის არ არსებობის შემთხვევაში არანაკლებ შესაბამისი კონკრეტული საერთაშორისო სტანდარტის მინიმალური მოთხოვნების მიხედვით.

კ) საცხოვრებლის ტერიტორიაზე აუცილებელია მოეწყოს სარეკრეაციო სივრცეები (განსაკუთრებით იმ ზონაში სადაც რელიეფის თუ სხვა გარემოებების გათვალისწინებით შეუძლებელი იქნება შენობა ნაგებობების თუ სხვა ინფრასტრუქტურის მოწყობა).

ლ) საცხოვრებლის ტერიტორიაზე უნდა მოეწყოს არანაკლებ 150 ავტომობილზე გათვლილი საპარკინგე ზონა;

მ) საცხოვრებლის ტერიტორიაზე აუცილებელია საბიბლიოთეკო სივრცის/სივრცეების არსებობა. ამასთან იმის გათვალისწინებით, რომ საკადასტრო კოდზე მდებარეობს უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის შენობა, რომელშიც არის საკმარისი სივრცე საბიბლიოთეკო და სტუდენტური სივრცეების მოსაწყობად, პრეტენდენტი უფლებამოსილი იქნება უნივერსიტეტთან შეთანხმებით აღნიშნულ შენობაში მოაწყოს სტუდენტური საბიბლიოთეკო სივრცეები;

ნ) პრეტენდენტი ვალდებულია უნივერსიტეტის მე-11 და უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის გარე ფასადი მოიყვანოს ახალ გარემოსთან შესაბამისობაში და საკუთარი სახსრებით უნივერსიტეტთან შეთანხმებით უზრუნველყოს აღნიშნული კორპუსების დაზიანებული ფასადის რეაბილიტაცია;

ო) საერთო საცხოვრებელი უნდა აკმაყოფილებდეს “მისაწვდომი და გამოყენებადი შენობებისა და მოწყობილობების” სტანდარტს (ICC A117.1).

პ) ყველა ნაგებობა ესკიზის დონეზეც უნდა ითვალისწინებდეს შენობა-ნაგებობების უსაფრთხოების წესების მოთხოვნებს.

ჟ) შშმ პირთა ხელისაწვდომობის უზრუნველსაყოფად ოთახების არანაკლებ 2 % უნდა იყოს მორგებული შშმ პირებზე;

რ) ტერიტორიაზე დასაშვებია რიგი კომერციული ობიექტების არსებობა, რომლებიც არ მოდიან წინააღმდეგობაში საგანმანათლებლო დაწესებულებასთან დაკავშირებით მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ პირობებთან, შეზღუდვებთან და შეესაბამებიან აკადემიურ გარემოსთან; ტერიტორიაზე აკრძალულია სამორინე/სლოტ-კლუბის/ტოტალიზატორის ფუნქციონირება და საცხოვრებელი (არასტუდენტური) კორპუსის მშენებლობა.

ს) სტუდენტთა საერთო საცხოვრებლის მომსახურებით უპირატესი სარგებლობის უფლება ექნებათ უნივერსიტეტის სტუდენტებს, ასევე საერთო საცხოვრებლის ტერიტორიაზე (გარდა 5000 კვ.მ. ტერიტორიაზე მოქმედი კომერციული ობიექტებისა) ნებისმიერი მომსახურების (მათ შორის ოთახის

ქირავნობა) მიღება მათთვის შესაძლებელი უნდა იყოს არანაკლებ 30%-იანი ფასდაკლებით (არამხოლოდ საერთო საცხოვრებელში მცხოვრები სტუდენტებისთვის);
ტ) პრეტენდენტი უფლებამოსილი იქნება სტუდენტური საერთო საცხოვრებლის ტერიტორიაზე მოწყობილი სპორტულ-გამაჯანსაღებელი/სარეკრეაციო/საგანმანათლებლო სივრცეების ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად მოახდინოს კომერციული სივრცეების დროებით სარგებლობაში გაცემა (ქირავნობა, იჯარა).
უ) უნივერსიტეტსა და ინვესტორ კომპანიას შორის ურთიერთშეთანხმებით განისაზღვროს კვოტა, რომლის ფარგლებში სტუდენტური საერთო საცხოვრებლისათვის განკუთვნილ ობიექტზე სოციალურად მოწყვლადი ჯგუფები ისარგებლებენ შეღავათებით საცხოვრებლით სარგებლობასთან დაკავშირებით დადგენილი საფასურის გადახდისას.
ფ) საერთო საცხოვრებლის ტერიტორიაზე მოქმედი სპორტულ-გამაჯანსაღებელი ობიექტების სარგებლობის უპირატესი უფლება ექნებათ საცხოვრებლში მცხოვრებ სტუდენტებს, თავისუფალი ადგილების/დროის შემთხვევაში საქართველოს უსდ-ის ნებისმიერ სხვა სტუდენტს, ხოლო იმ შემთხვევაშიც თუ აღნიშნული მოთხოვნის დაკმაყოფილების შემდგომ კვლავ იარსებებს რიგი მიმართულებით თავისუფალი /ადგილები/დრო სხვა ნებისმიერ პირს.

2.2 სტუდენტთა საერთო საცხოვრებლის მშენებლობასთან დაკავშირებით სათანადო ინვესტორის შერჩევის კრიტერიუმები მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ დადგენილ მოთხოვნათა დაცვით მოხდეს შემდეგი კრიტერიუმებით:

აღნაგობის უფლებით გასაცემი მიწის ნაკვეთების წლიური საწყისი ღირებულება განისაზღვრება მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით, დამოუკიდებელი აუდიტორის მიერ დადგენილი საფასურის შესაბამისად. ხოლო არსებული ეკონომიკური მაჩვენებლებისა და ინფლაციის გათვალისწინებით, აღნიშნული წლიური ღირებულება შეიძლება შეცვლილი იქნას ხელშეკრულების ხელმოწერის თარიღიდან დაწყებული ყველა სრული 120 (ას ოცი) თვიანი პერიოდის გასვლის შემდეგ და დეტალურად გაიწერება უნივერსიტეტსა და ინვესტორ კომპანიას შორის გაფორმებულ ძირითად ხელშეკრულებაში.

ა) აუქციონში გამარჯვებული კომპანია ვალდებული იქნება, აუქციონის პირობების შესრულების უზრუნველყოფის მიზნით, ელექტრონული აუქციონის ჩატარებიდან 1 (ერთი) თვის ვადაში, ხელშეკრულების გაფორმებისას, წარმოადგინოს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ რეგისტრირებული ლიცენზირებული კომერციული ბანკის მიერ გაცემული, ინვესტიციის არანაკლებ 3%-ის ოდენობის, უპირობო და გამოუხმობადი საბანკო გარანტია, რომლის მოქმედების ვადაც არანაკლებ 3 (სამი) თვით უნდა აღემატებოდეს ამ აუქციონის მიზნით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულების ვადას. იგი შესაძლოა გამოყენებული იქნას, როგორც ხელშეკრულების ძირითადი ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის დროს, ასევე პირგასამტეხლოების ასანაზღაურებლად.
ბ) აუქციონში მონაწილეობის საგარანტიო თანხა უნდა შეადგენდეს 500,000.00 ლარს. საგარანტიო თანხა, აუქციონში გამარჯვებულ კომპანიას, ჩაეთვლება პირველი წლის გადასახადის ნაწილში, ხოლო ყველა სხვა მონაწილეს დაუბრუნდება აუქციონის დასრულებიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში;
გ) სტუდენტთა საერთო საცხოვრებლის ფუნქციური დანიშნულება უცვლელი უნდა დარჩეს, აღნაგობის უფლების ვადის მოქმედების მთელი პერიოდის მანძილზე.
დ) სტუდენტთა საერთო საცხოვრებლის მშენებლობის პროექტის განხორციელების სავარაუდო ღირებულება უნდა შეადგენდეს არანაკლებ 20,000,000.00 აშშ დოლარის ექვივალენტს ლარში (რაზედაც

წარმოდგენილ უნდა იქნას შესაბამისი დამადასტურებელი დოკუმენტაცია) და იგი მთლიანად უნდა დაფინანსდეს ინვესტორი კომპანიის მიერ მისი საკუთარი ან/და მის მიერ მოზიდული სახსრების მეშვეობით.

ე) პროექტის განხორციელების ღირებულება უნდა მოიცავდეს ყველა ხარჯს, რაც პირდაპირ იქნება დაკავშირებული სტუდენტთა საერთო საცხოვრებლის კომპლექსის დასრულებასთან. იგი მოიცავს, მაგრამ შესაძლოა არ შემოიფარგლოს (ჩატარებულია გეოლოგიურ-გეოდეზიური კვლევა) პროექტირების, გენერალური გეგმის შემუშავების, მშენებლობის, შესაბამისი ინფრასტრუქტურის მოწყობის, ტექნიკური და საავტორო ზედამხედველობის, რემონტის, კეთილმოწყობის, ტექნიკური მოწყობილობებისა და ავეჯით აღჭურვის, საექსპერტო დასკვნების, ოპერირების დაწყებისათვის აუცილებელი და სხვა საჭირო ან/და მიზნობრივი ხარჯებით, რომელთა ნუსხაც დეტალურად გაიწერება უნივერსიტეტსა და ინვესტორ კომპანიას შორის დადებული ძირითად ხელშეკრულებით. აღნიშნული ხელშეკრულებით გათვალისწინებული იქნება უნივერსიტეტის მხრიდან ზედამხედველობის განხორციელების (სამშენებლო პროცესის ზედამხედველობა) პირობები, რომლის თანმდევი ხარჯების გაწევა ინვესტორი კომპანიის ვალდებულება იქნება.

ვ) სტუდენტური საერთო საცხოვრებლის შენობა ნაგებობები და ინფრასტრუქტურა *((N01.14.06.006.133 კოდზე რეგისტრირებული მიწის საერთო ფართობიდან (58,192.00 კვ.მ.) პროექტის მიზნებისათვის გამოყენებულ იქნება 32,000.00 კვ.მ. (გამოკლებულია ე.წ. ბიოლოგების კორპუსი და სხვა მიმდებარე ტერიტორიის ფართობები); N01.14.06.006.116 კოდზე რეგისტრირებული მიწის საერთო ფართობიდან (90,767.00 კვ.მ.) ფართობიდან პროექტის მიზნებისათვის გამოყენებულ იქნება 23,000.00 კვ.მ. (გამოკლებულია უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის შენობის ფართობი და ბოლო მონაკვეთი დაახლოებით 25 ათასი კვ.მ.)),* პრეტენდენტს აღნაგობის უფლებით სარგებლობაში გადაეცემა 39 წლის ვადით, ხოლო ზემოაღნიშნული ტერიტორიიდან *(N01.14.06.006.133 კოდზე რეგისტრირებული)* არაუმეტეს 5000 კვ.მ. მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული კომერციული შენობა ნაგებობები 79 წლის ვადით.

ზ) ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2021 წლის 04 აგვისტოს N005439921 დასკვნის თანახმად, 55 000 კვ.მ. (32 000კვ.მ. + 23 000 კვ.მ.) უძრავი ქონების ყოველწლიური საიჯარო (აღნაგობის) საბაზრო ღირებულება შეადგენს 802 436 ლარს, ხოლო 5 000 კვ.მ. უძრავი ქონების ყოველწლიური საიჯარო (აღნაგობის) საბაზრო ღირებულება შეადგენს 215 121 ლარს.

ამასთანავე, პროექტის განხორციელებისათვის საჭირო ზემოაღნიშნული ფართობის მიწის ნაკვეთების გამიჯვნა და ცალკე რეგისტრაცია დაგეგმილი არ არის. აღნიშნულიდან გამომდინარე პროექტის ფარგლებში დაგეგმილი სამშენებლო სამუშაოების განხორციელება მოხდება განაშენიანების დეტალური გეგმის საფუძველზე და შესაბამისი ექსპლუატაციაში მყოფი (მოქმედი) შენობა-ნაგებობებზე დამაგრებული მიწის ნაკვეთები ან ის მიწის ნაკვეთები, რომლებზეც არ განხორციელდება სამშენებლო სამუშაოები გამიჯნულ იქნება წილობრივ საწყისებზე (შესაბამისი წილების მიხედვით).

რის შემდგომაც იგი ვალდებულია აღნიშნული მიწის ნაკვეთები და მასზედ განთავსებული შენობა ნაგებობები, ინვენტარი და ყველა სახის ინფრასტრუქტურა უსასყიდლოდ ნივთობრივად და უფლებრივად უნაკლო მდგომარეობაში საკუთრებაში დაუბრუნოს უნივერსიტეტს (ნორმალური ცვეთის გათვალისწინებით);

ზ) ინვესტორი კომპანია უზრუნველყოფს პროექტირებას და მასთან დაკავშირებულ ყველა სახის საქმიანობას დამოუკიდებლად. ამასთანავე, უნივერსიტეტთან შესათანხმებლად წარადგენს მინიმუმ ორ არქიტექტურულ დიზაინ-კონცეფციას აუქციონის დასრულებიდან არა უმეტეს 60 დღის ვადაში. ხოლო, უნივერსიტეტთან შეთანხმებული პროექტი მშენებლობის ნებართვის გამცემ სამსახურებს უნდა წარუდგინოს აუქციონის დასრულებიდან, არაუმეტეს, 6 თვის ვადაში. პროექტის დამტკიცება და მშენებლობის ნებართვის მიღება უნდა მოხდეს აუქციონის დასრულებიდან არაუმეტეს 18 თვის ვადისა. პირველი ეტაპის მშენებლობის პერიოდი კი არ უნდა აღემატებოდეს მშენებლობის ნებართვის მიღების თარიღიდან 36, ხოლო ორივე ეტაპის მშენებლობის პერიოდი 54 თვეს.

თ) აღნაგობის ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში ინვესტორი იპოთეკით ვერ დატვირთავს ამ პროექტის ფარგლებში აშენებულ შენობა-ნაგებობა(ებ)ს. ნებისმიერი სხვა სახის იპოთეკით უზრუნველყოფილი დაფინანსება შეთანხმებული უნდა იყოს უნივერსიტეტთან, რისი პროცედურები დეტალურად იქნება გაწერილი უნივერსიტეტსა და ინვესტორს შორის დადებულ ძირითად ხელშეკრულებაში. აღსანიშნავია, რომ სტუდენტთა საერთო საცხოვრებელში ინვესტორმა არ უნდა განახორციელოს საკუთარი უფლებების ან/და ვალდებულებების რამე სახით მესამე პირზე გადაცემა უნივერსიტეტთან შეთანხმების გარეშე.

ამონაწერი საჯარო რეესტრიდან

განცხადების რეგისტრაცია
N 882020082942 - 03/02/2020 16:06:50

მომზადების თარიღი
20/03/2020 17:20:15

საკუთრების განყოფილება

ზონა	სექტორი	კვარტალი	ნაკვეთი
თბილისი	ვაკე		
01	**14**	**06**	**006/116**

მისამართი: ქალაქი თბილისი , ქუჩა უნივერსიტეტი , ნაკვეთი 06/020

ნაკვეთის საკუთრების ტიპი: თანასაკუთრება
ნაკვეთის დანიშნულება: არასასოფლო სამეურნეო
დაზუსტებული ფართობი: 90767.00 კვ.მ.
ნაკვეთის წინა ნომერი: **01.14.06.006.020;**
შენობა-ნაგებობის ჩამონათვალი: N1; N2; N3; N4; N5

მესაკუთრის განყოფილება

განცხადების რეგისტრაცია : ნომერი 882014057309 , თარიღი 05/02/2014 15:05:10
უფლების რეგისტრაცია: თარიღი 06/02/2014

უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი:

- ბრძანება N1-3/139 , დამოწმების თარიღი:29/02/2012 ,სსიპ "საწარმოთა მართვის სააგენტო"
- ბრძანება N1-3/679 , დამოწმების თარიღი:26/07/2012 ,სსიპ "საწარმოთა მართვის სააგენტო"
- წერილი N05/15654 , დამოწმების თარიღი:18/07/2012 , საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო
- ბრძანება N1-1/53 , დამოწმების თარიღი:30/08/2013 ,შპს ,,სახელმწიფო მომსახურების ბიურო"
- ბრძანება N1-3/1179 , დამოწმების თარიღი:28/11/2011 ,სსიპ "საწარმოთა მართვის სააგენტო"
- ნასყიდობის ხელშეკრულება N120975027 , დამოწმების თარიღი:12/09/2012 ,ნოტარიუსი რ.ფიფია
- წერილი N05/14350 , დამოწმების თარიღი:29/06/2012 , საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო

მესაკუთრეები:
შპს ,,აქტივების მართვისა და განვითარების კომპანია", ID ნომერი:405007200
სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ID ნომერი:204864548, იურ. მისამართი:ილია ჭავჭავაძის გამზირი N 1

მესაკუთრე:	**აღწერა:**
სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	N1, N2, N3, N4, N5 (გარდა შენობა-ნაგებობა N1-2-ის სახურავზე არსებული 19.59 კვ.მ. ფართისა)
შპს ,,აქტივების მართვისა და განვითარების კომპანია"	შენობა-ნაგებობა N1-2-ის ტერასაზე არსებული 19.59 კვ.მ ფართი.

საგადასახადო გირავნობა:

რეგისტრირებული არ არის

იპოთეკა
სარგებლობა

განცხადების რეგისტრაცია ნომერი 882011229801 თარიღი 17/05/2011 16:37:00	**მოიჯარე**: **შპს "მაგთიკომი"**204876606; **მესაკუთრე**: **სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი** 204864548; საგანი:საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკის შენობის სახურავის ნაწილი ფართით 10.00 კვ.მ; საბოლოო თარიღი:20/04/2016;
უფლების რეგისტრაცია: თარიღი 08/06/2011	**იჯარის ხელშეკრულება, რეესტრის ნომერი N110455264, დამოწმების თარიღი05/05/2011, ნოტარიუსი რ. ფიფია ,**
განცხადების რეგისტრაცია ნომერი 882011642706 თარიღი 30/12/2011 16:05:24	**მოიჯარე**: **შპს "მაგთიკომი"**204876606; **მესაკუთრე**: **შპს „აქტივების მართვისა და განვითარების კომპანია"**405007200; საგანი:ფართი 11.55 კვ.მ (შენობა-ნაგებობა N1-N2-ის ტერასა) ; ვადა:5 წელი;
უფლების რეგისტრაცია: თარიღი 06/01/2012	**იჯარის ხელშეკრულება, დამოწმების თარიღი30/12/2011, სსიპ საქართველოს იუსტიციის სამინისტრო საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო,**
განცხადების რეგისტრაცია ნომერი 882012094637 თარიღი 06/03/2012 16:51:25	**დამქირავებელი**: **შპს "ჯეოსელი"** 203841940; **მესაკუთრე**: **შპს „აქტივების მართვისა და განვითარების კომპანია"**405007200; საგანი:შენობა-ნაგებობა N1-N2 -ზე ფართი 7.04კვ.მ; ვადა:5 წელი;
უფლების რეგისტრაცია: თარიღი 13/03/2012	**ქირავნობის ხელშეკრულება , დამოწმების თარიღი06/03/2012, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო ,**
განცხადების რეგისტრაცია ნომერი 882017019159 თარიღი 11/01/2017 14:12:24	**მოიჯარე**: **შპს "მობიტელი"** 204450584; **მესაკუთრე**: **შპს " აქტივების მართვისა და განვითარების კომპანია "**405007200; საგანი:შენობა-ნაგებობა N1-N2 -ის ტერასაზე არსებული ფართი 19.59 კვ.მ. _დან 1 კვ.მ.; ვადა:5 წელი;
უფლების რეგისტრაცია: თარიღი 13/01/2017	**უძრავი ქონების იჯარის ხელშეკრულება, დამოწმების თარიღი11/01/2017, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო**
განცხადების რეგისტრაცია ნომერი 882019605315 თარიღი 26/07/2019 11:24:05	**მეიჯარე**: **სსიპ "ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი"** 204864548; **მოიჯარე**: **შპს "კანტი"** 200140267; საგანი: ბიბლიოთეკის მე-4 სართულის ფოიეში არსებული 2 კვ.მ. ; ვადა:3 წელი;
უფლების რეგისტრაცია: თარიღი 01/08/2019	**შეთანხმება უძრავი ქონების იჯარის შესახებ 2018 წლის 19 ივლისის N881/08 ხელშეკრულება, დამოწმების თარიღი26/07/2019, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო ,** **ხელშეკრულება უძრავი ქონების იჯარის შესახებ, დამოწმების თარიღი19/06/2018, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო**

ვალდებულება

ყადაღა/აკრძალვა:

რეგისტრირებული არ არის

მოვალეთა რეესტრი:

რეგისტრირებული არ არის

"ფიზიკური პირის მიერ 2 წლამდე ვადით საკუთრებაში არსებული მატერიალური აქტივის რეალიზაციისას, აგრეთვე საგადასახადო წლის განმავლობაში 1000 ლარის ან მეტი ღირებულების ქონების საჩუქრად მიღებისას საშემოსავლო გადასახადი გადახდას ექვემდებარება საანგარიშო წლის მომდევნო წლის 1 აპრილამდე, რის შესახებაც აღნიშნული ფიზიკური პირი იმავე ვადაში წარუდგენს დეკლარაციას საგადასახადო ორგანოს. აღნიშნული ვალდებულების შეუსრულებლობა წარმოადგენს საგადასახადო სამართალდარღვევას, რაც იწვევს პასუხისმგებლობას საქართველოს საგადასახადო კოდექსის XVIII თავის მიხედვით."

- დოკუმენტის ნამდვილობის გადამოწმება შესაძლებელია საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ოფიციალურ ვებ–გვერდზე www.napr.gov.ge;
- ამონაწერის მიღება შესაძლებელია ვებ–გვერდზე www.napr.gov.ge, ნებისმიერ ტერიტორიულ სარეგისტრაციო სამსახურში, იუსტიციის სახლებსა და სააგენტოს ავტორიზებულ პირებთან;
- ამონაწერში ტექნიკური ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში დაგვიკავშირდით: 2 405405 ან პირადად შეავსეთ განაცხადი ვებ–გვერდზე;
- კონსულტაციის მიღება შესაძლებელია იუსტიციის სახლის ცხელ ხაზზე 2 405405;
